| მარაგების შესყიდვა                                                            |          | (69,430)           | (11,157)         |
| გადამუშავების დანახარჯები                                                     |          | -                  | -                |
| საბოლოო მარაგები                                                              |          | 53,733             | 44,557           |
| <b>საერთო მოგება</b>                                                          |          | <b>3,741,454</b>   | <b>323,515</b>   |
| <b>პირდაპირი საოპერაციო ხარჯები</b>                                           | <b>4</b> | <b>(2,440,726)</b> | <b>(222,518)</b> |
| რეკლამის და მარკეტინგის ხარჯები                                               |          | (2,086)            | (3,216)          |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                                                      | <b>5</b> | (340,162)          | (287,382)        |
| ძირითადი საშუალებების მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯები                        |          | (6,071)            | (7,269)          |
| კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯი                                              |          | (8,590)            | (8,268)          |
| მივლინების ხარჯი                                                              |          | (1,154)            | (3,874)          |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                                          |          | (40,118)           | (48,769)         |
| იჯარის ხარჯი                                                                  | <b>6</b> | (34,572)           | (28,191)         |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი                                      | <b>7</b> | (54,292)           | (20,026)         |
| <b>სულ საოპერაციო ხარჯები</b>                                                 |          | <b>(2,927,772)</b> | <b>(629,513)</b> |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                                                      |          | <b>813,683</b>     | <b>(305,998)</b> |
| <b>გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:</b>                                     |          | <b>-</b>           | <b>-</b>         |
| ფინანსური აქტივები                                                            |          | -                  | -                |
| მარაგები                                                                      |          | -                  | -                |
| სხვა არაფინანსური აქტივები                                                    |          | -                  | -                |
| <b>წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:</b>                | <b>8</b> | <b>(555,619)</b>   | <b>991,624</b>   |
| საპროცენტო შემოსავლები                                                        |          | 7,817              | -                |
| სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)                                 | <b>8</b> | (60,398)           | (252,490)        |
| <b>მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან</b> |          | <b>205,483</b>     | <b>433,136</b>   |
| მოგების გადასახადი                                                            |          | -                  | -                |
| <b>მოგება/(ზარალი)</b>                                                        |          | <b>205,483</b>     | <b>433,136</b>   |
| <b>სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):</b>                                      |          | <b>-</b>           | <b>-</b>         |
| ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი   |          | -                  | -                |
| სხვა                                                                          |          | -                  | -                |
| <b>სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:</b>                                 |          | <b>-</b>           | <b>-</b>         |
| <b>მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)</b>                                     |          | <b>205,483</b>     | <b>433,136</b>   |

შპს თრეველ თუ ჯორჯია 2010 - ის

დირექტორი : ემილი ღორფი





შპს თრეველ თუ ჯორჯია 2010

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2021 - ის თარიღისთვის

| აქტივები                                            | შენიშვნა | 2021      | 2020      | 2019      |
|-----------------------------------------------------|----------|-----------|-----------|-----------|
| ფული და ფულის ეკვივალენტები                         |          | 4,888,309 | 5,082,340 | 5,021,527 |
| სავაჭრო მოთხოვნები                                  |          |           |           | 2,509,157 |
| გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი | 9        | 1,435,622 | 2,250,454 |           |
| მარაგები                                            | 10       | 412,922   | 657,961   | 312,667   |
| - მზა პროდუქცია                                     |          | 53,733    | 44,557    | 50,543    |
| - სხვა                                              |          | -         | -         | -         |
| სხვა მიმდინარე აქტივები                             |          | 53,733    | 44,557    | 50,543    |
| არამატერიალური აქტივები                             | 11       | 265,235   | 582,201   | 799,807   |
| ძირითადი საშუალებები                                | 12       | 2,377     | 2,990     | 3,712     |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები                          | 12       | 767,260   | 806,765   | 854,812   |
| სულ აქტივები                                        |          | 7,825,458 | 9,427,268 | 9,552,225 |
| ვალდებულებები                                       |          | -         | -         | -         |
| სავაჭრო ვალდებულებები                               |          | -         | -         | -         |
| მიღებული ავანსები                                   | 13       | 84,373    | 724,515   | 804,061   |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ                  |          | 4,016     | 115,173   | 17,601    |
| საგადასახადო ვალდებულებები                          |          | -         | 11,633    | -         |
| მიმდინარე სასესხო ვალდებულებები                     |          | -         | -         | -         |
| სხვა ვალდებულებები                                  |          | -         | -         | -         |
| სულ ვალდებულებები                                   |          | 88,389    | 851,321   | 822,427   |
| საკუთარი კაპიტალი                                   |          | -         | -         | -         |
| საწესდებო კაპიტალი შპს ში                           |          | -         | -         | -         |
| გაუნაწილებელი მოგება / ზარალი                       |          | -         | -         | -         |
| სხვა რეზერვები                                      |          | 7,737,069 | 8,575,947 | 8,729,798 |
| სულ საკუთარი კაპიტალი                               |          | 7,737,069 | 8,575,947 | 8,729,798 |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები              |          | 7,825,458 | 9,427,268 | 9,552,225 |

შპს თრეველ თუ ჯორჯია 2010 - ის  
დირექტორი : ემილი დორფი

✓



**შპს თრეველ თუ ჯორჯია 2010**

**კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2021 - 31.12.2021 პერიოდისთვის**

|                                                   | შენიშვნა | 2021        | 2020      |
|---------------------------------------------------|----------|-------------|-----------|
| კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)   |          | 8,575,947   | 8,729,798 |
| ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...) . |          | -           | -         |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)    |          | (1,044,361) | (586,987) |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში             |          | 205,483     | 433,136   |
| კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს             |          | 7,737,069   | 8,575,947 |

შპს თრეველ თუ ჯორჯია 2010 - ის  
დირექტორი : ემილი ღორფი

✓



## შპს თრეველ თუ ჯორჯია 2010

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

### 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს თრეველ თუ ჯორჯია 2010 შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 03/04/2014 ს.კ. 405037650). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ფალიაშვილის ქუჩა N10/ბარნოვის ქუჩა N83ა, ბინა N8, კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ტურისტული მომსახურება, რაც გამოიხატება უცხოელი ტურისტების შემოყვანის ორგანიზებაში და მათთვის საქართველოს ტერიტორიაზე ტურისტული მომსახურების გაწევაში. კომპანია აგრეთვე ახდენს ადგილობრივ და უცხოელ ტურისტებზე ტურისტული მომსახურების გაწევას. კომპანიის საქმიანობაში მცირე წილი უჭირავს აგრეთვე სხვა სახის საქმიანობასაც ვინაიდან საანგარიშო პერიოდში ახდენდა ტურისტებზე კოვიდ ტესტებით მომსახურებას - სამედიცინო დაწესებულებებთან თანამშრომლობით.


### 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

#### ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

შპს თრეველ თუ ჯორჯია 2010 - ის  
დირექტორი : ემილი ღორფი





ამონაგები მომსახურებიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მომსახურება დამკვეთს მიეწოდება და როდესაც შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

### **სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები**

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

### **მოგების გადასახადი**

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, მოგების გადასახადის ვალდებულების აღიარება ხდება, ფინანსური შედეგის მიხედვით იმ შემთხვევაში თუ გადაწყვეტილება დივიდენტების გამოცხადების შესახებ მიღებულია და არ არსებობს მისი გაუქმების დიდი ალბათობა, სხვა შემთხვევაში მოგების გადასახადის აღიარება ხდება დივიდენტის ფაქტობრივად გადახდის პერიოდში.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

### **ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ცვეთის დარიცხვის შემცირებადი ნაშთის მეთოდით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ყოველწლიურად შემდეგი პროცენტებით:

- შენობა-ნაგებობები - 5%;
- სატრანსპორტო საშუალებები - 10%;

მპს თრეველ თუ ჯორჯია 2010 - ის

დირექტორი : ემილი დორფი

✓



- იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 15 %;
- სხვა ძირითადი საშუალებები - 20 %;

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ხდება აქტივების გადაფასება პერსპექტიულად.

### არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია ხდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, თუ ცნობილია არამატერიალური აქტივის გამოყენების ვადა, სხვა შემთხვევაში მისი ამორტიზება ხდება ცვეთის დარიცხვის შემცირებადი ნაშთის მეთოდით წლიური 15 %- იანი განაკვეთით.

### აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.



თუ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქტივების საბალანსო ღირებულება მნიშვნელოვნად ჩამორჩება მის რეალურ ღირებულებას ხდება მისი გადაფასება და რეალურ ღირებულებამდე დაყვანა, შესაბამისი აფასების თანხა აღირიცხება კაპიტალის მუხლში, ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის სახით, რომლის კომპენსირებაც ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში აფასებულ ღირებულებაზე დარიცხული ცვეთის თანხით.

### იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

### სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ხარჯად აღიარება ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით.



**სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება მომსახურების მიღებისთანავე გადახდით, აგრეთვე ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით ან წინასწარი გადახდით. დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.


**სავაჭრო ვალდებულებები**

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

**სასესხო ვალდებულებები**

ნასესხებ თანხებთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით ყოველი თვი ბოლოს და აისახება ფინანსურ დანახარჯებში მიუხედავად ფაქტობრივად გადახდის თარიღისა.





**3. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება**

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება ფორმირებულია გახარჯული და მოხმარებული სასაქონლო მატერიალური ფასებლობების ჩამოწერის შედეგად და მოიცავს:

| დასახელება                                     | თანხა         |
|------------------------------------------------|---------------|
| ავტომობილის მიმდინარე საექსპ. ხარჯი (ავტონაწ.) | 19,268        |
| უსასყიდლოდ მიწოდებული მარაგები                 | 17,501        |
| საწვავის ხარჯი                                 | 15,614        |
| საკანცელარიო ხარჯი                             | 2,701         |
| ადგილობრივი ტურის პროდუქტების ხარჯი            | 1,330         |
| მცირეფასიანი ინვენტარის ხარჯი                  | 1,139         |
| სამეურნეო ხარჯი                                | 853           |
| წყალი 0.5                                      | 405           |
| საოფისე ხარჯები - დასაბეგრი მარაგები           | 220           |
| მაისური გრძელი სახელოთი                        | 209           |
| ბათუმის ოფისის ხარჯები                         | 194           |
| ქურთუკის ხარჯი                                 | 183           |
| ერთჯერადი ჩურჭელი                              | 173           |
| სხვა სარეკლამო მასალები                        | 162           |
| სათამაშოები                                    | 145           |
| სხვადასხვა მომსახურება                         | 140           |
| მაისური მოკლე სახელოთი                         | 17            |
|                                                | <b>60,254</b> |

**4. პირდაპირი საოპერაციო ხარჯები**

პირდაპირი საოპერაციო ხარჯები მოიცავს საოპერაციო შემოსავლებთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს (გარდა სასაქონლო მატერიალური ფასეულობებისა):

| დასახელება                                      | თანხა            |
|-------------------------------------------------|------------------|
| სასტუმრო მომსახურება                            | 2,176,735        |
| SARS-CoV-2 RT-PCR ანალიზი                       | 74,380           |
| მომსახურების ხარჯი                              | 56,008           |
| სარესტორნო მომსახურება                          | 47,513           |
| ავიაბილეთები                                    | 35,873           |
| ტრანსპორტით მომსახურება                         | 29,206           |
| სხვადასხვა მომსახურება                          | 10,910           |
| ბილეთების ხარჯი (ბოტანიკური, მუზეუმი, საბაგირო) | 10,101           |
|                                                 | <b>2,440,726</b> |

მპს თრეველ თუ ჯორჯია 2010 - ის  
დირექტორი: ემილი ღორფი

J

**5. დასაქმებულთა ანაზღაურება**

დასაქმებულთა ანაზღაურება მოიცავს დასაქმებულ პერსონალზე გაცემულ ხელფასებსა და სხვა დანამატებს. აგრეთვე სხვადასხვა ბენეფიტებზე (კვება, საქონლის/მომსახურების უსასყიდლო მიწოდება, ფასდაკლება სერვისებზე და სხვა.) დარიცხულ გადასახადებს სსკ ს მოთხოვნების შესაბამისად.

**6. იჯარის ხარჯები**

საიჯარო ხარჯები მოიცავს საოფისე ფართების იჯარას ქ. თბილისში და ქ. ბათუმში, აგრეთვე სასაწყობო ფართის იჯარას.

**7. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები მოიცავს:**

| ანგ.    | დასახელება                               | თანხა         |
|---------|------------------------------------------|---------------|
| 7480    | სხვადასხვა ხარჯი                         | 14,949        |
| 7419    | თანამშრომლების სხვა ხარჯი                | 9,949         |
| 7465    | სხვა საგადასახადო ხარჯი                  | 7,950         |
| 7418    | საპენსიოს ხარჯი                          | 5,493         |
| 7490 11 | დღგ დასაბეგრი ხარჯი (უსაყიდლოდ მიწოდება) | 4,928         |
| 7490 12 | მოგებით დასაბეგრი                        | 4,341         |
| 7490 01 | BANK SERVICE                             | 3,299         |
| 7450 02 | სამხარაულის დასკვნა                      | 1,191         |
| 7490 02 | დაცვის მომსახურება                       | 1,017         |
| 7490 15 | მთარგმნელობითი ხარჯი                     | 383           |
| 7490 14 | დღგ+მოგება (დღგ ხარჯი - სხვაობა)         | 310           |
| 7490 09 | სხვა მომსახურება                         | 205           |
| 7450 3  | სახელმწიფო ბაჟი                          | 150           |
| 7421    | არა დასაბეგრი (მოგებით და აშემოსავლოთი)  | 126           |
|         |                                          | <b>54,292</b> |

მპს თრეველ თუ ჯორჯია 2010 - ის  
დირექტორი: ემილი ღორფი



**8. წმინდა შემოსულობა/დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან და სხვა წმინდა არასაოპერაციო ხარჯი**

| დასახელება                     | თანხა          |
|--------------------------------|----------------|
| ზარალი ვალუტის გადაფასებიდან   | 362,135        |
| ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან  | 178,732        |
| ხელფასთან გათანაბრებული განაც. | 63,036         |
| ზარალი კონვერტაციიდან          | 14,751         |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯები     | 28             |
| ვალდებულების ჩამოწერა          | (2,665)        |
|                                | <b>616,017</b> |

**9. სავაჭრო მოთხოვნები**

სავაჭრო მოთხოვნები შედგება რეზიდენტ და არარეზიდენტ მყიდველებზე გაწეული მომსახურებებისგან. მათ შორის:


| მოთხოვნები მომსახურებიდან | თანხა            |
|---------------------------|------------------|
| არარეზიდენტ მყიდველებზე   | 1,431,769        |
| რეზიდენტ მყიდველებზე      | 3,853            |
|                           | <b>1,435,622</b> |

**10. გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავლები**

გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავლები მოიცავს რეზიდენტ ფიზიკურ პირებზე და საწარმოებზე გადახდილ მიმდინარე ავანსებს, აგრეთვე დასაქმებულ პერსონალზე ავანსად გაცემულ ხელფასებსა და საპენსიო ფონდში ზედმეტად გადახდილ თანხას. დეტალურად მოცემულია ქვემო ცხრილში:

| დასახელება                                | თანხა          |
|-------------------------------------------|----------------|
| რეზიდენტ მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები | 361,900        |
| ავანსად გაცემული ხელფასები                | 49,888         |
| საპენსიო ფონდში გადახდილი ავანსი          | 1,134          |
|                                           | <b>412,922</b> |

შპს თრეველ თუ ჯორჯია 2010 - ის  
დირექტორი : ემილი დორფი



**11. სხვა მიმდინარე აქტივები**


სხვა მიმდინარე აქტივები მოიცავს წინასწარ გაწეულ საიჯარო ხარჯებს, აგრეთვე ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილ გადასახადებს და სხვა საგადასახადო აქტივებს.

**12. ძირითადი საშუალებები**

| დასახელება                          | ნაშთი<br>01.01.2021 | შეძენა | ცვეთა  | გასვლა | ნაშთი<br>31.12.2021 |
|-------------------------------------|---------------------|--------|--------|--------|---------------------|
| შენობები                            | 567,842             | -      | -      | -      | 567,842             |
| მანქანა-დანადგარები                 | 6,789               | -      | 1,623  | -      | 5,166               |
| არამატერიალური აქტივები             | 2,990               | -      | 613    | -      | 2,377               |
| ოფისის აღჭურვილობა                  | 13,877              | -      | 2,775  | -      | 11,102              |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი             | 22,703              | -      | 4,636  | -      | 18,067              |
| სატრანსპორტო საშუალებები            | 164,605             | -      | 25,875 | -      | 138,730             |
| იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა | 30,948              | -      | 4,596  | -      | 26,352              |
|                                     | 809,755             | -      | 40,118 | -      | 769,637             |

**13. სავაჭრო ვალდებულებები**

სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს არარეზიდენტ და ადგილობრივ მომწოდებლებისგან შეძენილ საქონელსა და მომსახურებებზე წარმოშობილ, ძირითადად მოკლევადიან ვალდებულებებს.





## 14. ცვლილებები წარდგენაში

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას აღმოჩენილია გარკვეული უზუსტობები წინა წლის ანგარიშგებაში, რის გამოც დაკორექტირებულია შესადარისი პერიოდების შესაბამისი მუხლები.

საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში არაარსებითი ცვლილება განიცადა საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავლების თანხამ აგრეთვე შეიცვალა ხარჯების ზოგიერთი მუხლი: გაიზარდა მივლინებისა და სხვა საოპერაციო ხარჯების მუხლები და შემცირდა ცვეთის თანხა. შედეგად 2020 წლის შესადარისი პერიოდის მიმდინარე წარდგენაში მოგება შეცირდა 13,662 ლარით. სხვაობები დეტალურად მოცემულია ქვემო ცხრილში:

| მოგება-ზარალის მუხლის დასახელება                                       | მიმდინარე წარდგენა | კორექტირება | პირველადი წარდგენა |
|------------------------------------------------------------------------|--------------------|-------------|--------------------|
|                                                                        | 2020               | 2020        | 2020               |
| ნეტო ამონაგები                                                         | 340,658            | (3,791)     | 344,449            |
| მომსახურების გაწევიდან (ტურისტ.)                                       | 340,419            | (3,791)     | 344,210            |
| საერთო მოგება                                                          | 323,515            | (3,791)     | 327,306            |
| საოპერაციო ხარჯები                                                     |                    |             |                    |
| მივლინების ხარჯი                                                       | (3,874)            | (3,874)     | -                  |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                                   | (48,769)           | 210         | (48,979)           |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი                               | (20,026)           | (6,293)     | (13,733)           |
| სულ საოპერაციო ხარჯები                                                 | (629,513)          | (9,957)     | (619,556)          |
| საოპერაციო მოგება                                                      | (305,998)          | (13,748)    | (292,250)          |
| სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)                          | (252,490)          | 86          | (252,576)          |
| მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან | 433,136            | (13,662)    | 446,798            |
| მოგება/(ზარალი)                                                        | 433,136            | (13,662)    | 446,798            |
| მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)                                     | 433,136            | (13,662)    | 446,798            |

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებაში ცვლილება განაპირობა საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში აღწერილმა ცვლილებებმა. აგრეთვე დაკორექტირებულია 2020 წლის შესადარისი პერიოდის კაპიტალის საწყისი ნაშთის მოცულობა მიმდინარე წარდგენაში და პირველად წარდგენასთან შედარებით იგი შემცირდა 8,501 ლარით. ცვლილება განაპირობა წინა პერიოდის სააღრიცხვო მონაცემების კორექტირებამ.

მპს თრეველ თუ ჯორჯია 2010 - ის  
დირექტორი: ემილი დორფი

✓



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლებში ცვლილებები გამოწვეულია შესადარისი პერიოდის სააღრიცხვო მონაცემების კორექტირებით, ძირითადად მიმდინარე სავაჭრო მომწოდებლებთან და დებიტორებთან ურთიერთშეძარებისას გამოვლენილი სხვაობების კორექტირებით, ძირითადი საშუალებებისა და მისი ცვეთის კორექტირებით და საგადასახადო ვალდებულებების კორექტირებით.

ცვლილება წარმოდგენილია ცხრილში:

| ბალანსის მუხლის დასახელება                    | მიმდინარე წარდგენა |                  | კორექტირება        |                   | პირველადი წარდგენა |                  |
|-----------------------------------------------|--------------------|------------------|--------------------|-------------------|--------------------|------------------|
|                                               | 2020               | 2019             | 2020               | 2019              | 2020               | 2019             |
| <b>აქტივები</b>                               |                    |                  |                    |                   |                    |                  |
| სავაჭრო მოთხოვნები                            | 2,250,454          | 2,509,157        | (1,657.00)         | (1,435.00)        | 2,252,111          | 2,510,592        |
| გადახდილი ავანსები და დარიცხ. მისაღები შემოს. | 657,961            | 312,667          | (480.00)           | -                 | 658,441            | 312,667          |
| სხვა მიმდინარე აქტივები                       | 582,201            | 799,807          | (14,982.00)        | (5,677.00)        | 597,183            | 805,484          |
| ძირითადი საშუალებები                          | 806,765            | 854,812          | (1,170.00)         | (1,381.00)        | 807,935            | 856,193          |
| <b>სულ აქტივები</b>                           | <b>9,427,268</b>   | <b>9,552,225</b> | <b>(18,289.00)</b> | <b>(8,493.00)</b> | <b>9,445,557</b>   | <b>9,560,718</b> |
| <b>ვალდებულებები</b>                          |                    |                  |                    |                   |                    |                  |
| სავაჭრო ვალდებულებები                         | 724,515            | 804,061          | 4,129.00           | -                 | 720,386            | 804,061          |
| მიღებული ავანსები                             | 115,173            | 17,601           | -                  | 8.00              | 115,173            | 17,593           |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ            | 11,633             | -                | (255.00)           | -                 | 11,888             | -                |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                      | <b>851,321</b>     | <b>822,427</b>   | <b>3,874.00</b>    | <b>8.00</b>       | <b>847,447</b>     | <b>822,419</b>   |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                      |                    |                  |                    |                   |                    |                  |
| გაუნაწილებელი მოგება / ზარალი                 | 8,575,947          | 8,729,798        | (22,163.00)        | (8,501.00)        | 8,598,110          | 8,738,299        |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                  | <b>8,575,947</b>   | <b>8,729,798</b> | <b>(22,163.00)</b> | <b>(8,501.00)</b> | <b>8,598,110</b>   | <b>8,738,299</b> |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b> | <b>9,427,268</b>   | <b>9,552,225</b> | <b>(18,289.00)</b> | <b>(8,493.00)</b> | <b>9,445,557</b>   | <b>9,560,718</b> |

## 15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2022 წლის 30 სექტემბერს.

შპს თრეველ თუ ჯორჯია 2010 - ის  
დირექტორი : ემილი ღორფი

